



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ენდრო



ენდრო ქართული ენდრო
(*Rubia iberica*)

ენდრო (*Rubia*), მცენარეთა გვარი ენდროსებრთა ოჯახისა, მრავალწლოვანი ბალახები, ბუჩქები ან ნახევრად ბუჩქები. აერთიანებს 55-მდე სახეობას. გავრცელებულია ზომიერ სარტყლებში. საქართველოში ე-ს 2 სახეობა იზრდება: ქართული ანუ საღებავი ე. (*R. iberica*, *R. tinctorum*) და ამიერკავკასიური ე. (*R. transcaucasica*).). ქ ა რ თ უ ლ ე-ს აქვს 2 მ-მდე სიგრძის მხოხავი, დატოტვილი, ხორკლიანი ღერო, რგოლურად (4-6 ერთად) განლაგებული ფართო ლანცეტა ან ელიფსური უხეში ფოთლები და ნახევარქოლგებად შეკრებილი მოყვითალო-მომწვანო ყვავილები. იზრდება ქართლში, გარეკახეთში, გარდაბანში, ქიზიყსა და მესხეთში მთის ქვედა და შუა სარტყლის ბუჩქნარებში, მდინარეებისა და არხების ნაპირებზე, ღობეების გაყოლებებზე. ე-ს ფესვები შეიცავს წითელ საღებავს, რსაც ძველთაგანვე იყენებდნენ ქსოვილების შესაღებად (შუა აზიაში დღესაც იყენებენ საღებავად). მის ნაყენს ხალხ. მედიცინაში ხმარობენ კუჭის შემკვრელ და შარდმდენ საშუალებად (აღრე რაქიტის სამკურნალოდაც იყენებდნენ). ა მ ი ე რ კ ა ვ კ ა ს ი უ რ ე-ს მოთეთრო ყვავილები აქვს. იზრდება მხოლოდ ქიზიყში.

ლ. ხინთიბიძე